# დიდი მეცნიერული აღმოჩენა

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორმა და ინსტიტუტის მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელმა აკადემიკოსმა ს. ჯანაშიამ ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა:

ექსპედიციის ბაგინეთის რაზმმა (უფროსი ანდრია აფაქიძე) დიდი წარმატება მოიპოვა. ა. წ. 21 სექტემბერს რაზმმა მიაკვლია, ხოლო კვირას, 22 სექტემბერს გახსნა, არმაზის შიდაციხის ტერიტორიაზე პირველი სამარხი არმაზხევის ფართოდ ცნობილი პიტიახშების მდიდრული სამარხების ტიპისა. არმაზის შიდაციხის პირველი სამარხი წარმოადგენდა ორი მთლიანი ქვისაგან გამოკვეთილს, ორფერდა სახურავიან ნაგებობას, რომლის სახურავი დაკავშირებული იყო ქვედა, ძირითად ნაწილთან ჩანართითა და რკინის გამირებით. გამირები დამაგრებული იყო ტყვიითა და ჩანართით. სამარხის გახსნა გაგრძელდა დილის 12 საათიდან საღამოს 7 საათამდე. სამარხის პრეპარაცია ჩაატარეს, რაზმის უფროსის ხელმძღვანელობით, რაზმის წევრებმა ლ. კაპანაძემ, საბჭოთა კავშირის გმირმა არ. ციციშვილმა, თ. აბრამიშვილმა, ქართარაძემ, ა. ამირანაშვილმა და გ. ცისკარიშვილმა, რომელთაც ეხმარებოდნენ ექსპედიციის სხვა რაზმების ხელმძღვანელები (ა. კალანდაძე, გ. ლომთათიძე) და მეცნიერი თანამშრომლები.

სამარხმა მოგვცა სრულიად განსაკუთრებული ინვენტარი ოქროსი და ვერცხლისა: ოქროს სარტყელი (8 ტოტროვანი ბალთისაგან შემდგარი), სამაჯურები, ბეჭდები და სხვა სამკაულები, შემკული ფერადი ქვებით რომელთაც ზოგჯერ გამოსახულებები აქვთ (გემმები და კამეები), დიდი, მძიმე გრეხილოვანი ყელსაბამი, უფრო წვრილი ოქროს ძეწკვის ყელსაბამი, დიდი რაოდენობით კილიტები და საკიდები, რომლებითაც მორთული იყო მიცვალებულის სამოსელი, ოქროს სარტყლები, რომლებიც გარს შემოხვეული ჰქონიათ ხის ნაწილებს, მიცვალებულის დასასვენებელი სარეცლის, ფარშენჯის სახის მქონე, ქანდაკოვანი ვერცხლის ფეხები, დიდი რაოდენობით ჭურჭელი (თასები, ფიალები, ჯამები, ლანგრები და სხვა), შემკული საუცხოო ორნამენტით, ქალის საპირფარეშო ნივთები (ცოცხები, კოვზი, სარკეები) და სხვა. ერთ ერთს ნივთს აქვს წარწერები, არამეული დამწერლობით შესრულებული. სამარხში აღმოჩნდა რამდენიმე ოქროსა და ვერცხლის ფული, რომელნიც კარგად ათარიღებენ სამარხს მეორე საუკუნით ახალი წელთაღრიცხვით.

არმაზის შიდაციხის პირველი სამარხის ზოგი ნივთი ხელოვნების შედევრია. ასეთია პირველ რიგში ვერცხლის ფიალა, რომელზედაც რელიეფურად გამოსახულია ნადირობის სცენები.

ამ სამარხის აღმოჩენას სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმიტომაც, რომ იგი (სამარხი) მდებარეობს ანტიკური ქართლის მეფეების რეზიდენციის ტერიტორიაზე და იმედს გვაძლევს, რომ აქვე სამეფო აკლდამებიც აღმოჩნდება.